განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 27 დეკემბრის № 42 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს 2020 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთის ნაწილის ასახვაში, რომლითაც მოხდება ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში გარდამავალი პროექტების, ვალდებულებების და 2020 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება. აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტებს შორის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვის და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების დელეგირების განხორციელების მიზნით, გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის (970,0 ათ. ლარი) და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ გამოყოფილი თანხის 478,0 ათ. ლარის როგორც შემოსულობებში, აგრეთვე გადასახდელებში ასახვაში, რომლის გათვალისწინებითაცთელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვროს 37480,47 ათ. ლარის ოდენობით.

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის შემოსულობებში:

კერძოდ,

გაიზარდოს გრანტების მუხლი -1448,0 ათ. ლარით, მ.შ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მუხლი - 478,0 ათ. ლარით (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულება); სხვა ტრანსფერების მუხლი - 970,0 ათ. ლარით (საფ. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულება);

შესაბამისად, მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში:

განისაზღვროს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებების (კოდი 02 09) საქონელი და მომსახურების მუხლი 478,0 ათ. ლარით, მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულება);

განისაზღვროს საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებების (კოდი 04 04) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 970,0 ათ. ლარით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვისათვის, (საფუძველი საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულება);

წინა წლებში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების გათვალისწინებით განსახორციელებელი ვალდებულებების და გარდამავალი პროექტების დასაფინანსებლად აისახოს:

გაიზარდოს გზების კაპიტალური შეკეთების (კოდი 02 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 250,72599 ათ. ლარით - აქედან 35,90535 ათ. ლარით - ქ. თელავში ალაზნის გამზირზე მშენებარე სპორტული კომპლექსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხა (საფ. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულება); 113,90141 ათ. ლარით - ქ. თელავის ქუჩების - ყადორის, კვირიკე დიდის, ლაღიძის, გურამიშვილის, პეტრე ბაგრატიონის, ფალიაშვილის, იაშვილის, დავით რექტორის, ორაგუბის, ლერმონტოვის, ღვთისმშობლის და მუნიციპალიტეტის სოფლების გზების - კურდღელაურის, ჯუღაანის, კისისხევის, იყალთოს, ვარდისუბნის, აკურის, ბუშეტის, სანიორის - 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის (საფ. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულება); 92,68308 ათ. ლარით - ქ. თელავში, ერისთავის ქუჩის, სოფლების გზების - ვანთის, ქვ. ხოდაშენის, ბუშეტის, შალაურის, აკურის, ყარაჯალის, კურდღელაურის, იყალთოს, წინანდალის, ახატელის -2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის (საფ. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #2577 განკარგულება); 8,23615 ათ. ლარით - სოფ. თეთრწყლების ცენტრალური გზის მოასფალტების სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტო თანხა (საფ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის #815 განკარგულება);

გაიზარდოს სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის (კოდი 02 02 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 28,6524 ათ. ლარით - აქედან 9,39918 ათ. ლარით სოფ. გულგულის, სოფ. წინანდლის სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების და სოფ. ყარაჯალის სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობისათვის, 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის (საფ. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულება); 19,25322 ათ. ლარით - სოფ. კისისხევში სასმელი წყლის მაგისტრალის და შიდა ქსელების რეაბილიტაციის, სოფ. რუისპირში სასმელი წყლის მაგისტრალის და შიდა ქსელების რეაბილიტაციის, სოფ. ვანთაში სასმელი წყლის მაგისტრალის და ქსელის რეაბილიტაციის, სამარაგო რეზერვუარის მოწყობით სამუშაოებისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის (საფ. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #2577 განკარგულება);

გაიზარდოს გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია/მოწყობის (კოდი 02 03 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 0,16505 ათ. ლარით -სოფ. ვანთაში და სოფ. თეთრწყლებში გარე განათების მოწყობის სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხა (საფ. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის საფუძველზე“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულება);

გაიზარდოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებების (კოდი 02 09) საქონელი და მომსახურების მუხლი 23,37068 ათ. ლარით და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 86,66957 ათ. ლარით მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად 2019 წელს გაფორმებული

ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის, (საფ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულება);

განისაზღვროს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის (კოდი 02 10) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 23,96141 ათ. ლარით, სოფელ ფშაველში (თუშეთთან დამაკავშირებელი გზა) კულტურის სახლის ეზოში კემპინგის (ავტო, ველო და ქვეითი ტურისტების გასაჩერებელი ადგილის) მოწყობისათვის გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის (საფ. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #2577 განკარგულება);

გაიზარდოს გარემოს დაცვის ღონისძიებების (კოდი 03 02) საქონელი და მომსახურების მუხლი 143,75922 ათ. ლარით - ,,კისისხევის ხევი"-ს გაწმენდის სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის (საფ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #557 განკარგულება);

გაიზარდოს საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებების (კოდი 04 04) საქონელი და მომსახურების მუხლი 14,58379 ათ. ლარით საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის გაწეული მომსახურების ანაზღაურებისათვის (საფ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულება), არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი - 306,29589 ათ. ლარით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების/მომსახურების ანაზღაურებისათვის და 2020 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად (საფ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულება). 119,10256 ათ. ლარით - სოფ. ქვ. ხოდაშენის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (საფ. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ოქტომბრის N1994 განკარგულება);

გაიზარდოს სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 05 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 297,90864 ათ. ლარით - აქედან 296,25477 ათ. ლარით ქ. თელავში ჭადრაკის სახლის (ცაბაძის ქ.N5) რეაბილიტაციისათვის გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის (საფ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 14 მაისის #1064 განკარგულება), 1,65387 ათ. ლარით სოფ.ფშაველში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის; (საფ. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #2577 განკარგულება);

გაიზარდოს ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებების (კოდი 06 01 02) არაფინანსური აქტივების მუხლი 169,92433 ათ. ლარით ნაფარეულის ამბულატორიის სახურავის და ოთახების რეაბილიტაციის და სოფ. ქვემო ხოდაშენში ახალი ამბულატორიის შენობის მშენებლობისათვის გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის, აგრეთვე სოფელ ნაფარეულში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის მიზნით (საფ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #554 განკარგულება);

გაიზარდოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს (კოდი 01 01 01) საქონელი და მომსახურების მუხლი 12,0 ათ. ლარით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებისათვის.

გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის (კოდი 01 01 02) საქონელი და მომსახურების მუხლი 7,2 ათ. ლარით 2020 წლის განმავლობაში დაცვის მომსახურების შესყიდვისათვის,

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 162,82542 ათ. ლარით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების (მერიის შენობის ფასადის ნაწილობრივ რეაბილიტაცია და ვესტიბიულის მოწყობა, სოფ. იყალთოს, სოფ. რუისპირის და სოფ. ვარდისუბნის ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია) სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურებისათვის, ასევე 2019 წ შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან (სოფ. ნაფარეულში და სოფ. კისისხევში ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია) დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის. აგრეთვე, მერიის შენობაში სველი წერტილების რეაბილიტაციისათვის;

გაიზარდოს გზების კაპიტალური შეკეთების (კოდი 02 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1133,68771 ათ. ლარით, აქედან - 386,09571 ათ. ლარით - 2017 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით, ქ. თელავში ალაზნის გამზირზე მშენებარე სპორტული კომპლექსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის; ზუზუმბოს ქუჩაზე ბავშვთა გასართობი მოედანთან საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის, ქ. თელავის ქუჩების - ყადორის, კვირიკე დიდის, ლაღიძის, გურამიშვილის, პეტრე ბაგრატიონის, ფალიაშვილის, იაშვილის, დავით რექტორის, ორაგუბის, ლერმონტოვის, ღვთისმშობლის და მუნიციპალიტეტის სოფლების გზების - კურდღელაურის, ჯუღაანის, კისისხევის, იყალთოს, ვარდისუბნის, აკურის, ბუშეტის, სანიორის - 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის; ქ. თელავში, ერისთავის ქუჩის, ყარალაშვილის, კორძაძის ჩიხის, სოფლების გზების - ვანთის, ქვ. ხოდაშენის, ბუშეტის, შალაურის, აკურის, ყარაჯალის, კურდღელაურის, იყალთოს, წინანდალის, ახატელის, თეთრწყლების, გულგულის, ლალისუყურის, სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის; ჭავჭავაძის ქ., ალაზნის გამზირზე და რუსთაველის გამზირზე ტროტუარების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურებისათვის; 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ანაზღაურებისათვის; 747,592 ათ. ლარით - ქ. თელავში ორბელიანის ქუჩის, ბოჭორიძეების ქუჩის და სოფ. კურდღელაურის N22 ქუჩის დამაკავშირებელი გზის, სოფ. კისისხევის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების თანადაფინანსებისათვის და გზების რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზისათვის ;

გაიზარდოს გზების მიმდინარე შეკეთების (კოდი 02 01 02) საქონელი და მომსახურების მუხლი 6,00492 ათ. ლარით, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოასფალტებული ქუჩების ასფალტის საფარის შეკეთების სამუშაოებისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის;

გაიზარდოს საგზაო ნიშნების და უსაფრთხოების (კოდი 02 01 03) საქონელი და მომსახურების მუხლი 1,11647 ათ. ლარით (2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესრულებული სამუშაოს დაკავებული საგარანტიო თანხა); არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5,330 ათ. ლარით (2018 წელს გაფორმებული

ხელშეკრულების გათვალისწინებით, ზოგადი ხედვის კამერების და კვების ბლოკების შესყიდვის და შესაბამისი მომსახურების ანაზღაურება);

გაიზარდოს სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის (კოდი 02 02 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 204,67355 ათ. ლარით, აქედან - 55.67355 ათ. ლარით - სოფ. გულგულის, სოფ. წინანდლის და სოფ. კისისხევის სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების, და სოფ. ყარაჯალის სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობისათვის, სოფ. ლეჩურში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებზე 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის, სოფ. კისისხევში სასმელი წყლის მაგისტრალის და შიდა ქსელების რეაბილიტაციის, სოფ. რუისპირში სასმელი წყლის მაგისტრალის და შიდა ქსელების რეაბილიტაციის, სოფ. ვანთაში სასმელი წყლის მაგისტრალის და ქსელის რეაბილიტაციის, სამარაგო რეზერვუარის მოწყობით სამუშაოებისათვის და სოფ. ნასამხრალში ჭაბურღილის და რეზერვუარის მოწყობის სამუშაოებისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის, 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ანაზღაურებისათვის, სასმელი წყლის ჭაბურღილებზე ელ. ენერგიის სიმძლავრის გაზრდის მომსახურების ანაზღაურებისათვის. 149,0 ათ. ლარით - სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზისათვის, 2020 წელს სასმელი წყლის ჭაბურღილებზე ელ. ენერგიის სიმძლავრის გაზრდისათვის, სოფ. ყარაჯალაში არსებული ჭაბურღილის მიმდებარედ სამარაგო რეზერვუარის მოწყობისათვის;

გაიზარდოს ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებების (კოდი 02 02 03) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 113,43889 ათ. ლარით, აქედან - 108,33489 ათ. ლარით თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოებისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოს და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურებისათვის, 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის; 5,104 ათ. ლარი - ქ. თელავში ზაირა კიკვიძის ქუჩაზე ახალი სანიაღვრე არხის მოწყობისათვის;

გაიზარდოს გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის (კოდი 02 03 01) საქონელი და მომსახურების მუხლი 22,00294 ათ. ლარით 2019 წელს გარე განათების ქსელის ტექნიკურ მომსახურებაზე შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებისათვის.

გაიზარდოს გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია/მოწყობის (კოდი 02 03 02) არაფინანსური აქტივების ზრდის - 99,03237 ათ. ლარით, აქედან 89,03237 ათ. ლარი - სოფ. რუისპირში, ნაფარეულში, ართანაში, აკურაში და კონდოლში გარე განათების მოწყობა - 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესრულებული სამუშაოს დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა - 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესრულებული სამუშაოების დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურება. აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობისათვის საჭირო მასალების შესაძენად 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით თანხების ანაზღაურებისათვის; 10,0 ათ. ლარი - გარე განათების ქსელის გამრიცხველიანებისათვის;

გაიზარდოს მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებების (კოდი 02 04 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 91,148 ათ. ლარით, ქ. თელავში ავტოსადგომის და დამხმარე ნაგებობების მშენებლობის თანადაფინანსებისათვის;

გაიზარდოს ბინათმშენებლობის ღონისძიებების (კოდი 03 05) სხვა ხარჯების მუხლი 361,46078 ათ. ლარით, (180,92158 ათ. ლარი - ქ. თელავში ერეკლე მეორეს #1 საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეგილიტაციო სამუშაოებისათვის 2018-2019 წწ გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურებისათვის, 33,52227,0 ათ. ლარი - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზ. N2, ქეთევან წამებულის ქ. N5, N7 და N9) ფასადების რეაბილიტაციის სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურებისათვის, 47,01693 ათ. ლარი - თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების დაზიანებული, ავარიული და საფრთხის შემცველი საცხოვრებელი სახლების დაუყოვნებლივ რეაბილიტაციის მიზნით, 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის, 100,0 ათ. ლარი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების (კორპუსების რაოდენობა 60) ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისათვის);

გაიზარდოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოების (კოდი 02 06 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი - 27,19918 ათ. ლარით, (მ.შ. 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, ქ. თელავში ჩოხელის და ბახტრიონის ქუჩების მიმდებარედ თელავის ხევის სანაპიროს რეაბილიტაციის სამუშაოების დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის (5,48718 ათ. ლარი), მემორიალების და მიმდებარე ტერიტორიების აღდგენა/რეაბილიტაციისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის (21,712 ათ. ლარი));

გაიზარდოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებების (კოდი 02 09) საქონელი და მომსახურების მუხლი 249,9189 ათ. ლარით (აქედან 10,9189 მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის, 239,0 ათ. ლარი - 2020 წელს მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად (თანადაფინანსება)). არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 43,60566 ათ. ლარით მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის.

გაიზარდოს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის (კოდი 02 10) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 20,58425 ათ. ლარით, სოფელ ფშაველში (თუშეთთან დამაკავშირებელი გზა) კულტურის სახლის ეზოში კემპინგის (ავტო, ველო და ქვეითი ტურისტების გასაჩერებელი ადგილის) მოწყობისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაკავებული თანხის ანაზღაურებისათვის;

გაიზარდოს სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის (კოდი 02 11) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 10,4 ათ. ლარით, აქედან 6,4 ათ. ლარით, 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ანაზღაურებისათვის; 4,0 ათ. ლარით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზისათვის;

გაიზარდოს დასუფთავების ღონისძიებების (კოდი 03 01) საქონელი და მომსახურების მუხლი 2,42 ათ. ლარით 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით, ბანერების შეძენისათვის;

გაიზარდოს გარემოს დაცვის ღონისძიებების (კოდი 03 02) საქონელი და მომსახურების მუხლი 15,88917 ათ. ლარით - ,,კისისხევის ხევი"-ს გაწმენდის სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურებისათვის;

გაიზარდოს სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებების (04 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 51,88697 ათ. ლარით (ბ/ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალსწინებით, დაკავებული საგარანტიო თანხა (2,53649 ათ. ლარი), 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით სოფ. ვარდისუბნის ბ/ბაღის დემონტაჟის სამუშაოების ანაზღაურების თანხა (2,53592 ათ. ლარი); 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების, ბ/ბაღების რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ანაზღაურებისათვის (45,31456 ათ. ლარი) და სოფ. კისისხევის ბ/ბაღის შენობის საექსპერტო მომსახურების ანაზღაურებისათვის (1,5 ათ. ლარი);

გაიზარდოს სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 05 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 761,90984 ათ. ლარით, აქედან - 16,29401 ათ. ლარით - ქ. თელავში ჭადრაკის სახლის (ცაბაძის ქ.N5) რეაბილიტაციისათვის გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურებისათვის, 99,91734 ათ. ლარით - სოფ. ფშაველში, სოფ. კონდოლში, სოფ. ლაფანყურში, სოფ. წინანდალში, ქვ. ხოდაშენში და ქ. თელავში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების, შესრულებული სამუშაოებიდან ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურებისათვის; 46,75632 ათ. ლარით - ქ. თელავში საჩოგბურთე კორტების კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და 42,008 ათ. ლარით - ანთაძის სახელობის სპორტული სკოლის გათბობის ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის, 82,6 ათ. ლარით - თელავში მდებარე გივი ჩოხელის სახ. სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ანაზღაურებისათვის; 3,2317 ათ. ლარით -სპორტული ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დაკავებული თანხის ანაზღაურებისათვის; 75,0 ათ. ლარით - თელავში მდებარე გივი ჩოხელის სახ. სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზისათვის, 396,103 ათ. ლარით - თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ტრენაჟორების (14 ერთეული) მოწყობისათვის;

გაიზარდოს კულტურის ორგანიზაციის ხელშეწყობის (კოდი 05 02 01) სუბსიდიის მუხლი 34,37686 ათ. ლარით - ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის სუბსიდიის მუხლი, საახალწლო ღონისძიებების ორგანიზებისათვის წინა წელს გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული შესყიდვების დასაფინანსებლად;

გაიზარდოს კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 05 02 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 25,66028 ათ. ლარით სოფ. კურდღელაურის ყოფილი კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ანაზღაურებისათვის და სოფ. ლალისყურის კულტურის სახლის შენობაში კარ-ფანჯრების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის;

გაიზარდოს ძეგლთა დაცვის ღონისძიებების (კოდი 05 05) საქონელი და მომსახურების მუხლი 17,372 ათ. ლარით სოფ. თეთრწყლებში მდებარე ნაქალაქარის სადაზვერვო-არქოლოგიური სამუშაოებისათვის გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის და ქ. თელავში, დაბახნების ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ანაზღაურებისათვის. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 13,80003 ათ. ლარით - 2018-2019 წწ გაფორმებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის და შესრულებული სამუშაოების ღირებულებებიდან დაკავებული საგარანტიო თანხების ანაზღაურებისათვის (ჩოლოყაშვილის ქ. N18 ჩრდილოეთ ეზოში გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტის გადახურვა, ქ.თელავში ყადორის ბორცვზე მდებარე ,,კვირიკე დიდის ციხის" განათების მოწყობის სამუშაოები, ქ.თელავში დაბახნების ობიექტის გადახურვის სამუშაო კვირიკე დიდი ციხის დამატებითი გარე განათება);

გაიზარდოს დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობის (კოდი 05 06) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 209,1661 ათ. ლარით, აქედან - 204,0661 ათ. ლარით (ქ. თელავში, ყადორის სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურებისათვის, პარკი ,,ნადიკვარის" ამფითეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების, საზედამხედველო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დაკავებული თანხის ანაზღაურებისათვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობის და პარკ ნადიკვარზე ფანჩატურების და ტერასების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ანაზღაურებისათვის; 5,1 ათ. ლარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზისათვის;

გაიზარდოს ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებების (კოდი 06 01 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 8,11417 ათ. ლარით სოფელ ნაფარეულში საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურებისათვის და სოფ. თეთრწყლების ამბულატორიის გარე კომუნიკაციების მოწყობისათვის 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესასრულებელი სამუშაოების ანაზღაურებისათვის;

გაიზარდოს მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის და კომუნალურ გადასახადებზე დახმარების ღონისძიებების (კოდი 06 02 07) საქონელი და მომსახურების მუხლი 3,9292 ათ. ლარით (2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით შესრულებული მომსახურების ანაზღაურებისათვის);

გაიზარდოს სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებების (კოდი 06 02 10) სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 86,286 ათ. ლარით (2019 წლის სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისათვის გაწეული

სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დასაფინანსებლად გაცემული საგარანტიო წერილების საფუძველზე თანხების ანაზღაურებისათვის).